სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

30 იანვარი 2025

N 42/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინიტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის N2-978 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ", „ზ" და „რ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N535/01 თანხმობის წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები;
2. ბრძანება ძალაშია 2025 წლის 01 იანვრიდან;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 17 ოქტომბრის N348/კ ბრძანება;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს ამ ბრძანების სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსება;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N34) კანონმდებლობით დადგენილ ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო